აზა ბასლანიძე

ლეკვი და ჯოხი

აზა ბასლანიძე

ლეკვი და ჰრინი

ვუძღვნი ჩემს შვილს – ტატოს

შესანიშნავი პოეტი ქალბატონი აზა ბასლანიძე მშვენიერი საბავშვო პოეტია. მისი პოეზიის საოცარი „თეთრი ღრუბლების“ სავანეს ჯადოსნური კიბით აჰყავს ქართველი პატარები ღვთიური სიწმინდეებისაკენ. მისი ლექსები ბავშვის სულივით წრფელია, სუფთა და მიმზიდველი...

ღმერთმა ქალბატონ აზა ბასლანიძის ულამაზეს პოეტურ სამყაროს არ მოაკლოს ბავშვური სიხარულის ბრწყინვალება!

ვაჟა ოთარაშვილი

რედაქტორები:
ვაჟა ოთარაშვილი; ალეკო გაბელაია
მხატვარი: ნანა გიგოლაშვილი
კორექტორი: ეთერ ჯიმშელეიშვილი

გამომცემლობა „?“ 2023

ISBN:

© ყველა უფლება დაცულია

გაზაფხული

დღეებს სითბო ემატება,
მზე იღიმის ლაჟვარდ ცაზე.
გაიღვიძა ნაკადულმა
და კისკისით მორბის გზაზე!

მწვანე მოლზე ვინ თამაშობს? –
პაწაწინა ბელებია!
თეთრი ბაფთები მეგონა,
თურმე, თეთრი პეპლებია!

როცა ქვეყნად ყვავილების
უთვალავი ფერებია,
ოქროსფერი მზის სხივები
ყველას რომ ეფერებიან!

როს გალობენ ჩიტუნები,
კორდებზე კი ჩნდება ია,
თვით სიცოცხლე მოაბიჯებს
და მას გაზაფხული ჰქვია!

სამშობლო

ჩემი ტკბილი სამშობლო, –
კავკასიის მთებია!
ზღვის ტალღები გუგუნით, –
ნაპირს ეხეთქებიან!

მწვანე მოლი ხასხასა,
ზედ პატარა ოდები.
ვენახები, ბაღები,
მობიბინე კორდები!

ძველი ციხე-კოშკები,
წყაროები ანკარა,
მოშრიალე ტყეები,
ცაში ფრინველთ კამარა!

ჩემი ტკბილი სამშობლო,
ქვეყნად მხოლოდ ერთია.
იბერია ქართველთა, –
სალოცავი ღმერთია!

დაიძინე, პაწაწინავ

დაიძინე, პაწაწინავ,
სიბნელეა გარეთ.
ზურმუხტოვან ვარსკვლავებში
ამოცურდა მთვარე.

და ნურაფრის, ქვეყანაზე,
ნუ გექნება შიში,
უფლისაგან გამოგზავნილ
სიზმრებს ნახავ ძილში.

თითქოს შარავანდედია,
რომ გევლება ციდას.
ანგელოზნი გიგალობენ,
გიგალობენ ციდან.

რა კეთილი ხარო

არასოდეს მინახავს
საოცრება მსგავსი:
ქარმა ოქროს ფოთლებთან
დღეს იცეკვა ვალსი.

ფარფატ-ფარფატ შეფრინდა
ფუღუროში ერთი.
გაიხარა ციყვუნამ, -
ქარს მადლობას ვეტყვი!

საჩუქრისთვის მადლობა,
შემოდგომის ქარო.
თუმცა აშარს გეძახიან,
რა კეთილი ხარო!

ფერები

რა ფერი აქვს გაზაფხულს?–
გაზაფხული ლურჯია.
ყვავილებით მოქარგვა,
ცხრათვალა მზემ ურჩია.

–როგორია ზაფხული?–
ის ზურმუხტისფერია...
მწვანე კაბით დასეირნობს,
თითქოს იყოს ფერია...

თავს იწონებს შემოდგომა
ოქროსფერი ტყეებით.
ძოწისფერი ბროწეულით,
ქარვისფერი მტევნებით.

სპეტაკი და ქათქათელა,
აჰა, ჩვენი ზამთარიც!...
თოვლი, ციგა, გუნდაობა
და ფიფქების ამქარი.

გაიზარდა უცებ

თვალჟუჟუნა წვიმამ,
ამოავსო გუბე.
პაწაწინა გუბე,
გაიზარდა უცებ.

აციმციმდა წყალში
ვარსკვლავების თვალი,
ამოცურდა მთვარეც
ვერცხლისფერი, მკრთალი.

გაიფიქრა გუბემ:–
ციცქნა ვიყავ გუშინ.
დღეს კი მთელი ზეცა,
ჩავიტიე გულში!

და იღიმის გაზაფხული

თბილ ბუნაგში ნაძვის ძირას,
დათუნიას ტკბილად სძინავს.
თათი უდევს დრუნჩას პირში
და ზამთარიც გადის ძილში.

მაგრამ ერთხელ შემოესმა: –
წკაპაწკუპით წვეთავს წყალი.
ძილქუშიდან გამოსულმა
გაახილა უცბად თვალი.

ბუნაგიდან გამოვიდა
ძილისაგან გათანგული.
დახეთ! – თურმე თოვლი დნება
და იღიმის გაზაფხული.

საოცარი სურნელი

სიო ეალერსება,
ატმის ყვავილს უმღერის.
შემოიჭრა სარკმლიდან
საოცარი სურნელი.

ჭიკჭიკის ხმა გაისმა,
გაიღიმა აისმა.
მზით გამთბარი ქვეყანა,
აამღერა მაისმა.

წვიმა მღერის

გაზაფხულის წვიმა მღერის,
მღერის წვიმა შხაპუნა.
მელამ სოროს მიაშურა,
დაიმალა დათუნა.

ბაჭია კი წვიმას უსმენს
დაცქვეტილი ყურებით
და შხაპუნაც ეფერება
სველი ხელისგულებით.

აკისკისდა ნაკადული

ზამთარი რომ გაიპარა,
დაგვიტოვა ქვეყნად ლილო
და ამითი ისევ უკან,
თითქოს, დაბრუნებას ცდილობს.

ლილოჭრილო დნება მზეზე,
მობრძანდება გაზაფხული!
უკვე ისმის... სადღაც მთაში
აკისკისდა ნაკადული!

კონცერტზე

ჩიტუნების კონცერტზე
ყველა ფრენას ლამობდა.
ვინ ასწავლათ ნეტავი,
ჭიკჭიკი და გალობა?

საიდუმლოს ამოხსნა
ვერაფრით ვერ შევძელი.
აღარც დირიჟორი ჰყავთ,
აღარც მასწავლებელი.

წყაროსთან

პაკა-პუკით წყაროსკენ
მიდიოდა ბეკეკა.
პაწაწინა ბეკეკას
ყელს ეჟვანი ეკეთა.

წყაროს წყალი დალია,
მოლივლივე, ანკარა
და ტალღებში დალანდა,-
ბეკეკუნა პატარა.

აღტაცებით კიკინებს:-
ჩემი ტყუპისცალია.
ის ეჟვანიც წკრიალა,
ჩემსასა ჰგავს ძალიან!

ყურცქვიცა

პაწაწინა კურდღელს,
არ ჰქონია ბინა.
ამიტომაც საწყალს
ბუჩქის ძირას სძინავს.

ეუბნება ზღარბი: –
დღეს პირველად გხედავ.
ასე ყურდაცქვეტილს,
რა გქვიაო ნეტავ?

– კითხვაშია პასუხი,
რაც დამისვი თავად.
დაცქვეტილი ყურებით,
ყურცქვიტა ვარ, ალბათ.

ვარდი და ნიავი

ვარდს ნიავი ნაზად არხევს
და უმღერის ნანას: –
შენ მზესავით ლამაზი ხარ,
თქმა არ უნდა ამას.

ეგ წითელი ფერის კაბა,
რა საოცრად გშვენის.
მინდა მინდვრებს მოვაფინო,
სურნელება შენი.

მარიამი და პეპელა

დაიკარგა გოგო,
მთელი ეზოს თვალი.
აბა, მიდი, ლეკვო,
და აიღე კვალი.

დაიყეფა ლეკვმა:
– ჰამ, რა უნდა ამას?! –
თავს ანებებს ლეკვი
თავის კუდთან თამაშს.

წინ გაიჭრა ცქნაფა,
უკან მისდევს ყველა,
პაწაწინა მარის
სჭირდებაო შველა!

ყვავილნარში იქვე,
რაღაც მოჩანს თეთრად:
ეს ხომ პეპელაა,
მარიამთან ერთად!

გუბეები

მოდიოდა დილიდან
ცელქი წვიმა წანწკარა.
წვიმის მერე მინდორში
გუბეები დამდგარა.

ვხედავ, პირველ გუბეში
ცხრათვალა მზე იცინის.
დაცურავენ ღრუბლები,
კარგად ჩანან ისინიც.

მეორეში – ხეები
თავდაყირა დგებიან.
თავდაყირა დადიან
ბაბუა და ბებია.

იქ, მესამე გუბეში
ბაყაყები მღერიან.
კარგია რომ გაწვიმდა,
გუბეები ბევრია!

გაზაფხულო, რა მოგაქვს

გაზაფხულო, რა მოგაქვს?
– სიხარული ულევი,
მზით გამთბარი ქვეყანა,
მზით გამთბარი გულები.

ხმაწკრიალა წვიმები –
მარგალიტის ასხმულა.
პატარების ღიმილად
ციდან ჩამომარცვლულა.

მზე და წვიმა დაობენ

მზე და წვიმა დაობენ,
ციდან ისმის განგაში.
წვიმას უნდა შხაპუნი,
მზეს კი უნდა კაშკაში.

მე ვანათებ ქვეყანას! –
მზე იცინის ცხრათვალა.
წვიმა თავქვე დაეშვა,
სიტყვის თქმა არ აცალა!

ცაზე მზეა კაშკაშა,
წვიმაც მოდის წანწკარა.
დახეთ, მზე პირს იბანსო! –
გალობს ჩიტი ნაცარა.

ასფეხა

რა მინდაო ასფეხამ?
– ფეხსაცმელი ასი!
რიგრიგობით იზომებს,
არ ადარდებს ფასი.

მართალია, დახლზეა
ფეხსაცმელი ბევრი,
მაგრამ ყველა აღმოჩნდა
სულ სხვადასხვა ფერის!

ასე აჭრელებული,
აბა, როგორ ივლის?
მისი გავლა-გამოვლა,
მნახველს მოგვრის ღიმილს.

ერთნაირის ძებნაში
სხვებიც ვეღარ შველიან,
ამიტომაც ასფეხა
დღემდე ფეხშიშველია!

მხიარული წვეთები

მხიარული წვეთები
ალმასივით ბრწყინავს.
სად ცხოვრობენ წვეთები?
უნდა ვკითხო წვიმას.

და გაისმა წკრიალა,
მოკისკასე ხმები: –
ჩვენი სახლი ღრუბელია,
ღრუბლებიდან ვჩნდებით.

ცაზე ვცურავთ ნარნარად
მე და ჩემი დები.
დრო მოვა და ღრუბლებს,
ყველა ერთად ვწყდებით.

ვერცხლისფერი კაბები,
რა საოცრად გვშვენის!
წკაპა-წკუპი, წკაპა-წკუპი,
სიმღერაა ჩვენი.

იალაღებზე

სათიბები ღელავს,
უკან დარჩა შარა.
პაწაწინა მწყემსი
თვალს ადევნებს ფარას.

რა ნათელი დღეა,
რა ზურმუხტი მთები.
ყურს ჩაესმის ტკბილი
სალამურის ხმები.

კურდღლის ოჯახი

როცა კურდღლის ოჯახი
გემრიელად სადილობს,
ბლომადა აქვთ ბუჩქის ქვეშ
კომბოსტო და სტაფილო.

კურდღელს ორი შვილი ჰყავს,–
აჭია და ბაჭია.
ორივეა თოთოშა,
ფუმფულა და პაწია.

ფისო სოროს უთვალთვალებს

ფისო სოროს უთვალთვალებს
და იმღერის: – მიავ, მიავ,
ჩემს სიმღერას, თაგუნებო,
მეგობრობის ჰიმნი ჰქვია!

თაგუნებსაც როგორ მოსწონთ
ფისოს ტკბილი მელოდია,
მაგრამ ჩუმად გატრუნულან,
გარეთ აღარ გამოდიან.

ყელსაბამი

რა სცოდნია გაზაფხულის
თვალჟუჟუნა წვიმას:
გადაიღო და მდელოზე
ალმასებად ბრწყინავს!

მზის სხივებზე ააცვამს
მარიამი ალმასს
და მძივებით დაიმშვენებს
სამეჯლისო კაბას.

სანამ ციცქნა მარიამი
ყელსაბამზე ფიქრობს,
მზემ აკრიფა ალმასები,
არც ყოფილან თითქოს.

რა ხდებაო?

გაზაფხულის სურნელი
დატრიალდა ქვეყნად.
მზის ღიმილზე ლოლუები
იღვრებიან ცრემლად.

წკაპაწკუპა ცრემლები
ესხურება ნამქერს.
– რა ხდებაო? – ენძელა
თვალებს ფართოდ ახელს.

გაზაფხულის ხმები

ჯერაც ჩუმად რომ ისმის,
გაზაფხულის ხმებია.
ასე ნაზი წკარუნით
ლოლუები დნებიან.

ალიკლიკდა უეცრად
მთაში წყარო ანკარა.
ხმაჭიკჭიკა მერცხალი
მზეს შეჰხარის ცხრათვალას!

მარგალიტებს მაგონებს
მოლზე ნამის ბრჭყვიალი.
კარს მაისი მოგვდგომია
მწვანე ფარჩის შრიალით!

ფუტკრები

ფუტკრებს თურმე ნექტარი
ჰყვარებიათ ძალიან.
დაფრინავენ ზუზუნით
ყველა ტყუპისცალია.

გოგონები რომელია,
რომელია ბიჭები?...
ბავშვებისთვის მუდამ აქვთ
თაფლით სავსე ფიჭები.

მოცინარი ძროხა

ძროხას უყვარს ოცნება,
ლაჟვარდებში ცქერა.
გაფრინდება ერთხელაც, –
ეს ნამდვილად სჯერა.

ხეებს გადაუქროლებს,
მაღლა ცამდე ავა.
წამოწვება ღრუბლებზე,
ასე მითხრა თავად...

მაგრამ ვერ შეელია
სალამურის სტვენას
და ხასხასა მინდორს,
ზღვასავით რომ ღელავს.

და იფრინე ლაღად

გამოვაღებ გალიის კარს
და იფრინე ლაღად.
მაღლა-მაღლა ლაჟვარდებში
მზეს იხილავ, ალბათ.

შეფრთხიალდა მაღლა ტოტზე
ჩემი ფანჯრის მიღმა
და ჭიკჭიკით, - მადლობაო!-
გადმომძახა ჩიტმა.

მეგობრობას გთავაზობ

კვიცო, ეგრე ლამაზო,
ლორთქო ბალახს გთავაზობ.
წყაროს წყალი ანკარა,
გთხოვ, მიირთვა პატარავ.

სავარცხელიც აქ არი,
რომ დაგვარცხნო ფაფარი.
კვიცო, კვიცო, ლამაზო,
მეგობრობას გთავაზობ.

მთები

იკლაკნება ბილიკი,
ისმის წყაროს ლიკლიკი.
გზა და გზა რომ მხვდებიან,
ცადაწვდილი მთებია!

მთები დანისლულები,
თეთრი ღრუბლის ქულებით.
აღმართს ნელა მივყვები,
მწვერვალზეა ჯიხვები.

აქ, არწივთა ბუდეა,
ცის და მიწის ზღუდეა.
ზეცამდე რომ წვდებიან,-
აფხაზეთის მთებია!

აფრიკიდან ყოფილან

იქ ხომ მზეა თაკარა,
იქ ხომ ქვიშის მთებია,
იქ, ნილოსში ნიანგებიც
მზეზე ერთად თბებიან.

აფრიკაში კარგად ისმის
მაიმუნთა ყიჟინი,
კენწეროდან კენწეროზე,
რომ დახტიან გიჟივით.

ხორთუმით რომ ბანანებს წყვეტს,
გოლიათი სპილოა.
თუთიყუშთან საუბარი
ერთობ სასაცილოა.

ბეჰემოთი სიხარულით
ელოდება პატარებს.
უყვარს თავად ბანაობა,
დღეებს წყალში ატარებს.

დიდი ლომი და ჟირაფი,
მარტორქა თუ გორილა,
რომ იცოდეთ, პაწიებო,
აფრიკიდან ყოფილან.

ნაკადულები

დიდი გზა აქვთ გასარბენი
ლურჯი ზღვისკენ ნაკადულებს.
ჭალებსა თუ ზურმუხტ ტყეში
მინდორ-მინდორ გაფანტულებს.

ოცნებისკენ ისწრაფიან
და ეს ლურჯი ტალღებია!
თურმე ზღვაში - ბავშვებივით
ბანაობა ჰყვარებიათ!

მხიარული ჰანგები

ბავშვებს ბედნიერება
რომ გვისურვა ღმერთმა,
ხმაჭიკჭიკა ჩიტუნები
და მუსიკა შექმნა.

მხიარული ჰანგებია,
რომ მიგვაფრენს მაღლა.
ოცნებებში გვანანავებს
ჯადოსნური ტალღა.

მეც ჭიკჭიკით მოხიბლული
ბედნიერი ვივლი.
მუსიკაში იმალება-
ოცნებები ტკბილი.

ფისო და აკვარიუმი

აკვარიუმს აკვირდება
ფისო თვალის ცეცებით.
როგორ სწრაფად სრიალებენ
წყალში ოქროს თევზები.

გეგონება მარაოა
პაწაწინა ფარფლები.
ისე ნაზად ირხევიან,
მათი ცქერით დატკბები.

თევზები კი მუდამ სდუმან,
რას ფიქრობენ ნეტაო?–
ფისუნასთან მეგობრობა
სულაც არ გვჭირდებაო.

პატარა ვარ

ყვავილებში ჩავიკარგე,
მომაქვს დიდი თაიგული.
ჯერ ძალიან პატარა ვარ
და ამაზე მწყდება გული.

ფუტკარი

როგორ ტკბილად ზუზუნებს
პაწაწინა ფუტკარი.
-გთხოვთ, მეწვიოთ ფაფაზე! –
ფუტკარს ასე ვუთხარი.

-გმადლობთ ყურადღებისთვის,
დამავალეთ ძალიან,
მაგრამ, ნექტარს ვაგროვებ,
ახლა აღარ მცალია!

თაფლს გიმზადებთ პატარებს! –
ჩუმად მითხრა პაწიამ.
ფრთები შეისწორა და
ყვავილებთან გასწია.

მინდორშია ფარა

თეთრი ღრუბლის დარად,
მინდორშია ფარა.
პაწაწინა მწყემსიც,
სალამურით ხელში.

შორს გაისმის ტკბილი,
საამური სტვენა.
ალბათ, ესმით ვარდებს
სალამურის ენა.

ზღარბუნა და ბაჭია

ერთხელ ზღარბი ზღარბუნა
ბაზრობაზე წავიდა.
ბაჭიასთვის შეიძინა
სკამები და მაგიდა.

–რა კეთილი ზღარბუნა ხარ,–
გაიხარა ბაჭიამ,
მაგრამ გამოგიტყდები,
სახლი არ გამაჩნია.

–აბა, სად იძინებო?–
გაიკვირვა ზღარბუნამ.
–ძილისათვის ბუნებამ
ბუჩქის ძირი მარგუნა.

–ჰოდა, სახლიც გქონია,
დავდგათ ბუჩქის ძირასო,
სადაც სუფთა ჰაერზე,
ყურდაცქვეტილს გძინავსო.

სხედან ჩრდილში სუფრასთან
ზღარბუნა და ბაჭია.
ნუგბარს ტკბილად მიირთმევენ
ყოველ დილაადრიან.

გამოსულან ზღარბები

გამოსულან ზღარბები,
ამინდი ხომ კარგია.
გეგონება მინდორში
კაქტუსები დარბიან.

ლეკვი და პონი

ცირკის მანეჟს ესტუმრა
თეთრი ლეკვი პაწია.
თეთრი ქუდი ახურავს,
თეთრი კაბა აცვია.

საოცარი პირდაპირ! –
სად იყო და სად არა,
ზანზალაკის წკრიალით
გაჩნდა პონი პატარა!

ლეკვთან ახლოს მივიდა,
ამშვენებდა ფაფარი.
თავის დაკვრით ანიშნა,
საცეკვაოდ მზად არი!

მეგობარს რომ გაუგებს,
ეს მეგობრის გულია!
თითქოს, ფრთები შეისხეს,
მანეჟს ცეკვით უვლიან!

იხვის სიმღერა

– ვახ, ვახ, რარიგ ლივლივებენ
აქოჩრილი ტალღები.
ამ ლიკლიკა დინებას
ცოტას კიდევ გავყვები.

ვახ, ვახ, მართლაც კარგია
წყალში დგომა ყირაზე.
უფრო ღრმაა მდინარე,
რომ ვფიქრობდი იმაზე.

ვახ, ვახ, რარიგ კრიალებს
წყარო ოქროს თევზება.
მივცურავ და ეს გულიც
სიხარულით მევსება.

ვახ, ვახ, რარიგ ლივლივებენ
აქოჩრილი ტალღები.
დღეს მდინარეს, როგორც ჩანს,
უფრო შორსაც გავყვები.

დღეობაზე

გოჭუნიას დღეობაზე
ბევრი გოჭი მოვიდა.
ზოგი სამეზობლოდან,
ზოგი კიდევ შორიდან.

რაღაც წამში შეთქვლიფეს,
რაც კი იყო ნუგბარი.
ამის მერე ნაგავშიც
ნახეს ნაყარ-ნუყარი.

კარგად გამომძღარები
ახლა წვანან ტლაპოში.
ბედნიერი გოჭები
ჩავიხატე ალბომში.

გულმავიწყი ბებია

სიბერეში ყველანი
გულმავიწყნი ხდებიან...
ამის გამო სათვალეს
სულ დაეძებს ბებია.

გამოაცხო დედიკომ
ტკბილზე ტკბილი ქადა.
ბებოს არც გაუსინჯავს
დაუკარგავს მადა.

-არ იდარდო ბებია,
გთხოვ, მიირთვი ქადა!
მერე ერთად ვეძებოთ
დაკარგული მადა.

თაგვის ოჯახი

ბებომ ყველი სად დამალა?-
ერთხმად დაიწუწუნა,-
მამა თაგვმა, დედა თაგვმა
და პაწია წრუწუნამ.

ამის გამო საქციელი
ბებოს ვინ დაუწუნა?-
მამა თაგვმა, დედა თაგვმა
და პაწია წრუწუნამ.

საზამთრო

თვალის ერთი შევლებით,
თითქოს, დიდი ბუშტია.
გაბერილი საზამთრო,
ამაყი და კუშტია.

სიდიდით და სიტკბოთი
უყვარს თავის ქებაო.
გაჭრა თუ მოუნდომე,
სიცილისგან სკდებაო!

მამალმა თქვა

ვიყივლე და მთვარე გაქრა,
გაიკრიფნენ ვარსკვლავებიც.
მე რომ არა, მზის ამოსვლას
იხილავდით პატარები?

ესა თქვა და მამლაყინწამ
იწყო ყინჩად სიარული.
მზე იღიმის ლაჟვარდ ცაზე,
დღე იწყება მხიარული!

ღელე

დახეთ, ჩემი ფეხსაცმელი
ღელეს მიაქვს სწრაფად!
მხიარულად ლიკლიკებს,
მოეწონა, ალბათ.

ნაირფერი ნიჟარები
ტალღების ქვეშ თვლემენ.
დღეს წითელი ფეხსაცმელი
შეიძინა ღელემ.

ბარტყები

იცით, თურმე ჩიტუნიას
ბარტყები ჰყავს პაწაწინა.
პირტიტველა ბარტყებია
თავად ვნახე ამასწინათ.

დედა ჩიტი შვილებისთვის
ეზიდება მუდამ საკვებს.
თვალი ჯერ არ აუხილავთ,
პირს კი, ყველა ერთად აღებს!

კენგურუ

ავსტრალიის კენგურუ
თავს ევლება პატარებს.
არსად დაიკარგონო,
მუდამ ჩანთით ატარებს.

ფრთახატული პეპელა

სიოსავით მსუბუქი ხარ,
ნიავივით ნარნარი.
სიმღერაა შენი მოკლე, –
ერთი ციდა ზღაპარი.

მინდვრად ტურფა ვარდებია,
თითქოს, შენი დებია.
თავს გიკრავენ ფრთახატულას,
შენი ქროლვით ტკბებიან.

ცისარტყელა

ცისარტყელას სინარნარე
შვიდი ფერის თამაშია.
სილამაზის საიდუმლო,
თურმე, ფერთა გამაშია.

ენატრება შიმპანზეს

ენატრება შიმპანზეს
ტროპიკული ტყეები.
მანგოს წვენის სურნელი და
ანანასის ხეები.

ლიანებით, ხვიარებით
და ველური ყიჟინით,
ხიდან ხეზე, ხიდან ხეზე,
რომ დახტოდა გიჟივით.

დღეს კი უმზერს, - ვოლიერში
საბურავი ჰკიდია...
რაც ახარებს, - გისოსებთან
პაწიების რიგია.

სასაცილო სპილო

მაიმუნების საქილიკო
გოლიათი სპილოა.
თურმე, სპილოს ხორთუმი
ძალზე სასაცილოა.

ან ფეხები რას უგავს? –
ბოძებია ნამდვილი.
ამ ფეხებით ხეზე ასვლა,
არ იქნება ადვილი.

აღარც ტოტზე ჯდომა ძალუძს,
აღარც დაკიდებაო.
ჰოდა, დიდი პატივი
სპილოს რისთვის ხვდებაო?..

თიკანი

პაწაწინა თიკანი
ბრუნდებოდა სკოლიდან.
გზად კი მისი კიკინი
მოისმოდა შორიდან.

– ბეჯითი ვარ სწავლაში,
დილით ადრე ვდგებიო.
რაც სკოლაში წავედი,
აღარ ვირქინებიო!

მე და ლოკოკინა

ნაკვალევი ვერცხლის,
ტოტზე როგორ ბრწყინავს.
– მომისმინე კარგად,
ჩემო, პაწაწინავ.

მინდა გკითხო, პასუხს,
მოუთმენლად ველი.
რატომ ხარ მუდამ,
სლიპინა და სველი?

მაგრამ საუბარი
ლოკოკინას არ სურს.
ნიჟარაში ზის და
არ იძლევა პასუხს.

აბა, რას იფიქრებდა

არემარეს ანათებს
მთვარის შუქი მკრთალი.
ფისუნიამ ღამურებს
გააყოლა თვალი.

გაიფიქრა: – თაგვები,
დაფრინავენ გუნდად.
აშკარაა, ვარსკვლავებთან
მეგობრობა უნდათ.

ფისო, ამის მნახველი,
ვეღარ მალავს წყენას.
აბა, რას იფიქრებდა,
თაგუნების ფრენას.

ვინ მიღიმის

წყარო ცივი, ანკარა,
გადმოირბენს მთა-გორებს.
ვინ მიღიმის წყაროდან,
ჩემს ღიმილს რომ მაგონებს?...

სალამური

ეფინება არემარეს
სტვენა ტკბილი, საამური.
ასეთ ზღაპრულ ჰანგებს აფრქვევს
პაწაწინა სალამური.

რა კარგია, როცა ვცეკვავ,
რა კარგია, როცა ვმღერი.
რომ ვიცეკვო, სალამურში,
სული არის ჩასაბერი.

ყველამ ერთად რომ ვიცეკვოთ,
სიხარული იყოს ბევრი, –
სალამურში მხოლოდ სული,
სული არის ჩასაბერი.

ბილიკი

მზეა ცხელი, თაკარა,
ვეძებ წყაროს ანკარას.
ყოჩაღი და მარდი ვარ,
ტყისკენ სწრაფად გავრბივარ.

ეს რა გზაა ნეტავი?-
ბილიკია პატარა.
ამ ბილიკმა პატარამ,
სად და სად არ მატარა.

ბოლოს, წყაროც გამოჩნდა,
მესმის მისი ლიკლიკი.
აქ კი უცბად გავჩერდით,
მე და ჩემი ბილიკი.

შენც, თუ წყაროს ინატრებ,
როცა მზეა თაკარა,
გზას გაგიკვლევს წყაროსკენ,
ის ბილიკი პატარა.

სოკო წვიმაში

წვიმის წვეთებს გაუმართავთ მარულა,
ბალახებში სოკო ვერ დამალულა.
გაიწუწა და დარწმუნდა იმაში,
ქუდი უნდა დაეხურა წვიმაში.

პაწაწინა ზღარბუნია თერძია,
ჰო და, სოკო ზღარბუნიას ეწვია.
ასე უთხრა, - მკერავი ხარ კარგიო,
გამოჭერი ჩემი ქუდის თარგიო.

სწრაფად ჭრის და სწრაფად კერავს ზღარბუნა,
დილით სოკომ კარზე მიუკაკუნა.
ქუდის ნახვამ გაახარა ძალიან, -
თავზე ხურავს წვიმაა თუ დარია!

ჯეჯილი

– დახეთ, რარიგ იქცევიან
პურით სავსე თავთავები? –
მშობელ მიწას მოწიწებით,
დაუხარეს მათ თავები.

ნაკადული

– მოჩუხჩუხე ნაკადულო,
ხმაწკრიალა ნაკადულო,
რომ იცოდე, რა კარგი ხარ!
დამიცადე, რად გარბიხარ?

– მეჩქარება, უნდა შემხვდეს,
უთვალავი ნაკადული.
ფერდობებზე, ჭალებსა და
მინდორ-მინდორ გაფანტული.

ყველა ერთად, ერთ მდინარედ,
ზღვისკენ წასვლას ვაპირებდით.
რახანია გველოდება
შორეული ნაპირები.

მხიარული გვირილები

ოქროსფერი გულსაბნევი,
მოქათქათე კაბა,
მხიარული გვირილები
იზრდებიან სწრაფად.

მინდვრებს ისე შესევიან,
გადათეთრდა მოლი,
გეგონება გაზაფხულზე
მოსულაო თოვლი!

კიტრი

კიტრი ამბობს: – სიზმრად,
მთელი ღამე წვიმდა.
მოდი, მოდი, წვიმავ,
გავიზარდო მინდა.

და გასცქერის ლაჟვარდს
კიტრი ერთი ციდა,
მარგალიტის წვეთებს
ელოდება ციდან.

დედიკოსკენ გარბიან

თითქოს მაღლა დავფრინავ,
მიწას აღარ ვეხები.
სწრაფად, სწრაფად დარბიან
პაწაწინა ფეხები.

აქეთ ყვავილნარია,
ფარფატებენ პეპლები.
იქით ტყეა ზურმუხტი,
იქ, ფერიებს შევხვდები.

ყვავილნარი მახარებს,
შრიალა ტყეც კარგია.
მაგრამ დახეთ, ფეხები, –
დედიკოსკენ გარბიან!

საოცრებას ხედავს

ღამ-ღამობით ფისუნია
აკვირდება ზეცას.
ამ ღამით კი კაბადონზე
საოცრებას ხედავს:

მაღლა ცაზე რომ გორავდა
დიდი, თეთრი ყველი,
დღეს რატომღაც გაილია,
აღარაა მთელი...

თაგუნია მოციცქნიდა, –
გაიფიქრა ფისომ, –
მაგრამ, ასეთ სიმაღლეზე,
როგორ აძვრა ისო?..

აფრიკელი ნიანგი

აფრიკელი ნიანგი
არ დაფიქრდა წუთით,
მოშივდა და სადილად
გადაყლაპა ბურთი.

მერე დიდხანს ტიროდა,
ვერ დაეშვა ფსკერზე
და ნილოსის ტალღებში
ტივტივებდა მზეზე.

კაქტუსი

ღერო ნემსებს ისხამდეს,
მართლაც, საოცარია!
კაქტუსებს რომ უცქერი,
ზღარბო, რა გიხარია?

– კაქტუსები, ბავშვებო,
ალბათ, ჩემი ძმებია.
თავად ვნახე, ჩემსავით,
როგორ იჩხვლიტებიან.

ᲬᲘᲚᲔᲗᲘ ᲙᲣᲠᲓᲦᲔᲚᲘ

კურდღელს ფულის გადახდა
არასოდეს სურდა,
თუმცა შარვლის ჯიბეში
მუდამ ედო ხურდა.

მაგრამ ერთხელ ავტობუსში
ამოვიდა თაგვი,
თაგვი-კონტროლიორი
ყოჩაღი და მარდი.

რადგან კურდღლის საქციელი
იყო ძალზე ცუდი,
დაჯარიმდა, ჯარიმად
მოაკვნიტეს კუდი.

იმის მერე დაჭკვიანდა,
ბილეთს მუდამ იღებს
და იგივეს ურჩევს,
პატარებს თუ დიდებს.

მაგრამ ერთხელ ჩადენილი
საქციელით ცუდით,
გადის წლები, თუმცა მაინც,
არ ეზრდება კუდი.

რვაფეხები

რვა ფეხი აქვს რვაფეხას
და არც ერთი ხელიო.
ახლა კითხვას დაგისვამთ,
პასუხს თქვენგან ველიო.

თუ ხელები არა აქვთ,
როს ერთმანეთს ხვდებიან,
რვაფეხები რვაფეხებს,
როგორ ესალმებიან?

ღორმუცელა თაგუნა

თაგუნიამ ყველს მიაგნო,
სადღაც სუფრის ბოლოში
და იმდენი ჭამა თურმე,
ველარ ძვრება სოროში.

მხიარული ჯამბაზი

მხიარულმა ჯამბაზმა
ეს კურდღელი პაწია,
ჯოხის ერთი მოქნევით
მტრედად გადააქცია!

კუ

კუს არაფრის ეშინია,
ჯუბა-ჯავშანს ატარებს.
თავს გამოჰყოფს ბაკნიდან და
ესალმება პატარებს.

ქარავანი

აქ მზეა ცეცხლივით მწველი,
აქ მალე ქარავანს ველი.
და აგერ, საპალნით ზურგზე,
აქლემთა ქარავანს ვუმზერ.

არ ახსოვთ წყურვილი, ძილი,
არ ახსოვთ სიზმრები ტკბილი.
მოდიან დინჯად და ნელა,
ოცნებამ შეიპყრო ყველა.

წინ მხოლოდ ქვიშაა ცხელი,
ლოინო, სხვას რაღას ელი...
და გჯერა ოცნებით გართულს,
ოაზისს იხილავ ზღაპრულს.

ფერია

რასაც ახლა მოგითხრობთ,
არ გეგონოთ ზღაპარი.
მინდორია უღრანში
მზის სხივებით გამთბარი.

აბრეშუმის ჰამაკში
სიო არწევს ფერიას.
ფრთხიალებენ ჩიტები,
ყვავილებიც ბევრია.

როგორ მინდა იქ ვიყო,
სადაც ცხოვრობს ფერია,
სადაც მოლი ხასხასებს
და ტყეც ნაირფერია.

დასეირნობს

ზღარბმა ქოლგა სად იპოვა?–
მთის გადაღმა, სადღაც ხევში.
არ აშინებს წვიმის თქეში,
დასეირნობს ქოლგით ტყეში.

მოღენილი ლეკვი

წამოგორდა მწვანე მოლზე
ჩვენი ლეკვი დიდყურა,
თავქვეშ თათი ამოიდო
ღრუბლებს დიდხანს უყურა.

ღრუბლები კი ნება-ნება
ფაფუკ ქულებს ფანტავენ
და სურათებს ზღაპრულ ფუნჯით
ნაირნაირს ხატავენ.

ეს ლამაზი სურათები
ძალზე ართობს პატარას.
აგერ, მწყემსი კომბლით ხელში
ერეკება ცხვრის ფარას.

სწრაფად ხუჭავს თვალებს ლეკვი
კომბლის შიშით დამფრთხალი,
გაახელს და საოცრებავ! –
სურათია ახალი!

მიბაჯბაჯებს თეთრი დათვი
ზურგზე ფუთა ჰკიდია
და პატარა დათუნები
მის კვალდაკვალ მიდიან!

სად მიდიან დათუნები,
ნეტავ, საით მიდიან? –
ეს კი, ლეკვმა აღარ იცის,
ცა ხომ ძალზე დიდია!

ბელები კი ლაჟვარდ-ლაჟვარდ
მაღლა მზისკენ მიდიან.
დღე საოცრად ნათელია
და საოცრად მშვიდია.

თქვენთან მინდა წამოვიდე! –
ღრუბლებს უყეფს პაწია.
მაგრამ ბელებს, ცაში მავალთ,
მან ხმა ვერ მიაწია.

ისინი ხომ შორს არიან,
ცა ხომ ძალზე დიდია!
ბელები კი უკვე სულ შორს,
ჰოი, რა შორს მიდიან!

ჩემი კრავი

პაწაწინა ჩლიქები აქვს,
პაწაწინა რქები.
ლამაზია ჩემი კრავი,
მისი ცქერით ვტკბები.

ბამბის ქულა გეგონება
მოქათქათე თეთრად.
მე და კრავი მწვანე მოლზე
დავსეირნობთ ერთად.

წიწილები

– გათენდაო, გათენდაო! –
ყივის ჩვენი მამალი.
იქვე, კრუხი დაქოთქოთებს
წიწილების ამალით.

რომელიმე მათგანი
თუ უეცრად იწივლებს,
კრუხიც იქვე გაჩნდება,
თავს ევლება წიწილებს.

სათითაოდ დავთვალე,
სულ თორმეტი ცალია.
მოსწონთ მწვანე მინდორი,
დედაც უყვართ ძალიან.

აღარც ფისო აშინებთ,
აღარც ავი მურია,
დედის ფრთებქვეშ ცხოვრება,
მართლაც საამურია!

ციცინათელა

პაწია ციცინათელა
აანთებს ოქროს ფარანს,
როცა სიბნელე მეფობს
და სოფელს ბინდი ფარავს.

ულრანში ღამის ციალი
დათუნას, ტურას, მელას...
აღარ ასცდნენო ბილიკს,
გზას გაუნათებს ყველას.

და მეც მამშვიდებს ბინდში,
როს შიშთან მარტოდ ვრჩები,
ის მოციმციმე შუქი,
ის სიფრიფანა ფრთები.

მზესუმზირა

მზესუმზირა, დედი,
მზეს რად უმზერს ნეტა? –
ცხრათვალა მზე, შვილო,
არის მისი დედა.



მოკაშკაშეს ცაზე,
თვალს აყოლებს მუდამ.
მას ხომ დედის სითბო
და ალერსი უნდა.

მზე ღიმილით ავსებს,
როს ნათელი დღეა.
მზესუმზირაც, შვილო,
პაწაწინა მზეა.

მელას იავნანური

ჩემო კარგო, პაწაწინა მელავ,
შენს სიცოცხლეს შემოევლოს ყველა.
ალმასივით რომ გექნება კბილი,
საქათმისკენ სულ ცუნცულით ივლი.

არასოდეს შეგემთხვევა ცუდი,
რადგან გიცავს ჩემი ოქროს კუდი.
ყველგან გიცავს, რომ არ გეცეს თვალი,
და დამალოს მტრისგან შენი კვალი.

ჩვენს სოროს კი, ვერასოდეს, ვერა,
მონადირე ვერ მოაგნებს, მჯერა.
ჩემო შვილო, პაწაწინა მელავ,
შენს სიცოცხლეს შემოევლოს ყველა.

მელას სკივრი

ჯადოსნური სკივრი მაქვსო! –
გაიძახის მელია.
მაგრამ გახსნას ვერ ახერხებს,
სკივრის გახსნა ძნელია.

გასაღები მოიპარა
თურმე ყვავმა-ყვანჩალამ,
მერე ფრთა ფრთას შემოჰკრა და
სადღაც წაიჩანჩალა.

ციყვი

ციყვის სახლი – ფუღურო,
მშრალია და თბილი.
ხავსისაგან ლოგინი აქვს
ფაფუკი და რბილი.

ძალზე უყვარს გირჩები,
კაკალი და თხილი.
ლამაზ სიზმრებს დაასიზმრებს
ღამეული ძილი.

ფუღუროდან რა მოჩანს? –
საოცარი ბუნება!
მის ყურს ფოთოლთ შრიალი,
ტკბილად ელამუნება.

ოქროსფერი კუდი აქვს და
მძივებივით თვალები.
ციყვო, ასე ლამაზო,
მითხარ, რად მემალები?

მარიამი

ვერ გაიგებ, ვინ ვისა ჰგავს
ვისი დასადარია,
მარიამი ვარდებს ჰგავს თუ,
ვარდები ჰგავს მარიამს.

მელას სიზმარი

საარაკო სიზმარს ხედავს
კუდაგრძელი მელია:
რა ხანია საქათმეში
ვარიები ელიან.

აბრეშუმის ბუმბული აქვთ
და ქოჩორა თავები –
მელაკუდა მობრძანდაო,
გაუღიათ კარები.

ო, რა ტკბილად კაკანებდა
ვარიების ამალა,
მაგრამ იმ დროს გაეღვიძა,
რომ იყივლა მამალმა.

შემოდგომა ზეიმია

შემოდგომა ზეიმია
მარჯნისა და ძოწის.
ოქროსფერი ოქტომბერი
იხდის ოქროს ქორწილს.

ოქროსფერი ტყეებია,
ოქროსფერი ზვრები
და ფოთლებით – ოქროსფერით –
მოფენილი გზები.

შემოდგომის ცყვიმი

შემოდგომის ტყეები
აღარაა ლურჯი.
ხელთ უპყრია ბუნებას
ჯადოსნური ფუნჯი.

ძოწისფერი ალიონი
ტყეს ხატავდა წითლად.
ქარვისფერმა სავსე მთვარემ
მიმოქარგა ყვითლად.

თვალს ვეღარ ვწყვეტ ოქროსფერში
ოქროს სხივთა ლივლივს
და ტყეებში ფერთა გამით
მოხიბლული ვივლი.

ბაყაყუნა ყიყინა

ბაყაყუნა ყიყინა
წყლისპირ იჯდა ქვაზე.
წვიმის ლეგა ღრუბლები
დაცურავდნენ ცაზე.

ცას ახედა თუ არა,
გაუელვა თავში:–
წვიმა დამასველებსო
და ისკუპა წყალში.

თაგუნიას სახლი

რაც თაგუნას გადახდა
ამბავია ძველი.
სახლის ასაშენებლად
მოიპარა ყველი.

მერე ტკბილად მიირთვა
კნატაკნუტა თხილი,
ლორითა და ყველითაც
ისაუზმა დილით.

გამოხრა და ოთახში
სკამი დადგა ლორის.
თხილისაგან ნათურა
ჩამოკიდა ორი.

ასე შემოეჭამა
თაგუნიას სახლი.
იმის მერე აშენება
არც უცდია ახლის.

კრუხი და ხორბლის მარცვალი

–იცით, კრუხმა რა იპოვა? –
რა და, ხორბლის მარცვალი!
წისქვილისკენ გზას გაუდგა,
მიდის ფრთების ფართქალით.

მიიმღერის: – ხორბალს დავფქვავ
და მექნება ფქვილიო,
წიწილებს რომ გამოვუცხო
ნაზუქები ტკბილიო.

სხვებსაც აღარ დავივიწყებ
გავახარებ ყველასო,
თუკი ვინმე გამოვტოვე,
გამოვტოვებ მელასო.

ვინც უჩივის მადას, –
მივართმევო ქადას.
ჩვენს ბოჩოლას, კუნტრუშას, –
მივუტანო ფუნთუშას.

თხები წვერის ცანცარით, –
მოვლენ ჭამონ ნამცხვარი!
მღერის: დელი, დელაო,
შურით გასკდეს მელაო!

კოღოები

ძველად თურმე კოღოები
იყვნენ ძალზე მხიარულნი
და უყვარდათ წყლის მახლობლად
კონცერტებზე სიარული.

კოღოებს რომ ეკადრებათ,
ჰქონდათ ციცქნა სალამური,
საოცარი ჰანგის მქონე,
ზღაპრული და საამური!

მაგრამ ერთხელ, მოხუც კოღოს,
საწყალს რომ დააკლდა თვალში,
ვერც გაიგო სალამური,
როგორ ჩაუვარდა წყალში!

სალამური დავკარგეთო! –
აწრიალდა კოღოს ჯარი.
იმის მერე ყველას კბენენ,
ყველას უნდათ მოსდონ შარი.

საოცარი ხეები

საოცარი ხეებია
ჩემი ფანჯრის მიღმა,
სალამიო! – ფუღუროდან
გადმომძახა ციყვმა.

ვითარც გემი ქარიშხალში,
რომ აუშვებს აფრებს;
ირწევიან, შრიალებენ,
მიყვებიანა ზღაპრებს.

ამ ხეებზე ჩიტებია
და ვერ იტყვის ენა,
ისე მატკბობს მე იმათი
ჭიკჭიკი და სტვენა.

საოცარი ხეებია
ჩემი ფანჯრის მიღმა,
სალამიო! - ფუღუროდან
გადმომძახა ციყვმა.

რკო

გამხმარ ფოთლებს ათამაშებს
შემოდგომის ქარი.
რკო მუხიდან ჩამოვარდა
და იტკინა მხარი.

შიშველსა და პაწაწინას
ციცქნა ქუდი ხურავს,
წელს პირველად ხედავს თურმე
შემოდგომის სურათს.

გაიფიქრა, ულრან ტყეში
ალბათ მალე მოთოვს.
ზამთარში რომ არ გავცივდე,
მოვიხურავ ფოთოლს.

და ფოთოლში ოქროსფერში
გაეხვია თბილად...
მერე დიდხანს ეძინა
ცივ ზამთარში ტკბილად.

მხოლოდ მაშინ გაეღვიძა,
ციყვმა ციყვს რომ უთხრა–
შეხე, მოლზე ამოსულა
პაწაწინა მუხა!

შენი ქვეყნის სადარი

ჩიტსაც უყვარს სამშობლო,
– მეუბნება ბებია.
სწორედ ამიტომაა,
უკან რომ ბრუნდებიან.

კარგად დაიმახსოვრე:
არსად, არსად არ არი,
სხვა სამშობლო ამ ქვეყნად,
შენი ქვეყნის სადარი.

მიდის ვაცი საბალახოდ

მიდის ვაცი საბალახოდ
ჭიშკარს უღებს ბებია.
რაც მას ასე ამშვენებს,
დაგრეხილი რქებია!

წინ კი ფართოდ გაშლილი
მინდორია ტრიალი.
მიდის ბაკუნ-ბაკუნით
და ეჟვანის წკრიალით.

სახალისო ნოტებში

დო – ყვავილებს უმღერის,
რე – გაცივდა წუხელის.
მი – სიჩუმეს ვერ იტანს,
ფა – აჟღერებს ფლეიტას.

სოლ – იმღერებს არიებს,
ლა – რომანსებს არიგებს.
სი – ყველაზე ბოლოა,
გვატყუებს რომ სოლოა.

ჩემი კვიცი

იგი მართლაც მშვენებაა
მშობლიური მიწის.
სულ ცეცხლს აფრქვევს თვალებიდან
ჩემი შავრა კვიცი.

გუშინ მყავდა იპოდრომზე
ცხენთა რბოლა ნახა.
გახალისდა, უფრო ლაღი
მეჩვენება ახლა.

საგაისოდ რაც მოხდება,
მე წინასწარ ვიცი: –
ჩვენ ავიღებთ პირველ ჯილდოს
მე და ჩემი კვიცი!

როცა ფეხზე დავდგებიო

მელაკუდა იცრემლება:-
ჩემი საქმე წასულია...
ავადმყოფთან მობაჯბაჯდა
დასტაქარი დათუნია.

მელა ამბობს: - დათუნიავ,
მზად ვარ ვყლაპო აბებიო,
მიქსტურასაც დავაყოლებ,
სიროფითაც დავტკბებიო.

ოღონდ, ახლა მომარჩინე,
კუდი იყოს თავდებიო,
ქილა თაფლი ჩემზე იყოს,
როცა ფეხზე დავდგებიო!

ჯადოსნური კიბე

კარგი იყო მქონოდა
ჯადოსნური კიბე!
მივადგამდი მაღლა ცაზე
თეთრი ღრუბლის კიდეს!

ავირბენდი ზეცისაკენ
ლურჯი საფეხურებით
და იქიდან დავტკბებოდი
ჩემი ქვეყნის ყურებით!

პიანისტი

საკონცერტო დარბაზს ავსებს
საოცარი ბგერები.
პიანისტზე დედამ მითხრა,
აქვსო ოქროს ხელები.

როცა ხელებს დავაკვირდი
ოქრო არც მინახია.
უფროსებს კი რას გაუგებ,
უცნაური ხალხია.

სიზმრები

როცა ქოთანს სძინავს,
ასე ამბობს ბებო, –
მუდამ ესიზმრება
ნაღები და ერბო!

როცა თეფშებს სძინავთ, –
გააგრძელა პაპამ,
მათაც ესიზმრებათ
გემრიელი ფაფა!

ესიზმრება ჭალას
მოლიკლიკე წყალი.
ბუხარმა კი ნახა
ცეცხლის ცელქი ალი!

ტკბილად სძინავთ ხეებს,
საღამოა წყნარი.
სიზმარში კი თითქოს,
ტოტებს არხევს ქარი.

და პაწია ბარტყიც,
დედა ჩიტთან ერთად,
ძილ-ბურანში თითქოს,
ლაჟვარდებში ფრენდა.

ძილის დროა

ბინდი წვება და ციმციმა
ვარსკვლავები ჩნდებიან.
– ძილის დროა პატარავ,–
მეუბნება ბებია.

სავსე მთვარემ კაბადონს
ჩუმად შემოუარა
და სარკმელში იცქირება,
დავიძინე თუ არა.

ალიცლიცდა ტალღა

ბადრი მთვარე ზღაპრულ სურათს გვჩუქნის,
ნათებაა იდუმალი შუქის.
შრიალა ზღვამ ცას ახედა მაღლა
და ვერცხლისფრად ალიცლიცდა ტალღა.

ცაზე მთვარეს ელულება თვალი

ცაზე მთვარეს ელულება თვალი,
მოუხურავს საბნად ღრუბლის ფთილა.
საიდანღაც მეპარება ძილი
და საბანში ვიფუთნები თბილად.

დამნაშავე ძროხა

სულ შემთხვევით, თურმე ფეხზე
დააბიჯეს წიწილას.
პაწაწინა წიწილამ
სიმწრისაგან იწივლა.

სინანულის ცრემლი სდის
დამნაშავე ძროხას.
საბალახოდ არ მიდის,
დამდგარა და ოხრავს.

მთვარის შუქი

ვერცხლისფერი ნათება,
როცა ყველას სძინავს,
ჩუმად წვება ბალიშზე და
ჩემთან იდებს ბინას.

ფანჯრიდან კი მთვარე მოჩანს,
გაბადრული თეთრად.
მე და მთვარის ნაზი შუქი,
კვალავ ვიძინებთ ერთად.

მასპინძელი ზღარბი

ზღარბი ციდა ჩოდოლში
ელოდება სტუმრებს.
ვინც ეწვევა, სიხარულით
კარებს ფართოდ უღებს.

აჰა, კარზეც უკაკუნებს
თვალგიშერა ციყვი.
უკვე მზად აქვს მასპინძელს
თრითინასთვის ნიყვი.

მინდვრებიდან სკუპ-სკუპით
ქოხს მოადგა კალია.
მწვანე ფერი მიყვარსო,
მწვანე ჩაი დალია.

მობაჯბაჯდა დათუნა,
მოითხოვა თაფლი.
მისცეს დრუნჩას თაფლი და
დიდი ჯამით - წაბლი.

- ვისურვებდი კაკაოს!-
თქვა კურდღელმა პაწიამ.
ფინჯანი რომ დაცალა,
ტყისკენ ხტუნვით გასწია.

ზღარბს დასჩხავლა ყვანჩალამ,-
მეც მინდოდა კაკაო!
ყველას რომ უმასპინძლე,
ჩემთვის რაღა დაგრჩაო?!

ჩაიძირა მთვრე

ტბაში ცურავს მთვარე,
მოქათქათე თეთრად.
სილამაზე მსგავსი,
ვის უნახავს ქვეყნად?

გადაეკრა ამ დროს
ზეცას ღრუბლის ფარდა.
არაფერი მოჩანს
კუნაპეტის გარდა.

და ყმუილმა მგელთა,
შეძრა მთელი მხარე,–
თურმე, ყველას თვალწინ,
ჩაიძირა მთვარე!

ესიზმრებათ

წყაროს წყალი გაყინულა,
აღარ ისმის ლიკლიკი.
თოვლითაა დაფარული
შარაგზა თუ ბილიკი.

დათოვლილი ტყეებია,
დათოვლილი მთებია.
ზამთრის ხეებს ესიზმრებათ,
თითქოს იფოთლებიან.

კურდღელმა თქვა

კურდღელმა თქვა: – ბეჯითი ვარ,
კარგად ვიცი გაკვეთილი.
მასწავლებელს ისე ვუსმენ,
ყურები მაქვს დაცქვეტილი!

სამშობლოა სადღაც

სიცივეა ჯერაც,
მინდვრად მოჩანს ლილო,
მერცხალი კი ბუდეს
დაუბრუნდეს ცდილობს.

გადმოლახოს უნდა
შორეული გზები.
დაეღალა ალბათ
პაწაწინა ფრთები.

სამშობლოა სადღაც
და პაწია კერა,
ჰორიზონტზე რომ ჩანს,
ცისარტყელას ფერად.

განა ვინმე მოერევა

– განა ვინმე მოერევა
ფისუნია ფისოს?
იგი თურმე თათის დარტყმით
ღუნავს რკინის გისოსს.

საშინელი ბრჭყალები აქვს,
საშინელი ხახა!
კიდევ კარგი, თაგუნიამ,
ის სიზმარში ნახა.

საკუჭნაოში

თაგუნები ცეკვავენ,
თაგუნები მღერიან –
ბებოს საკუჭნაოში
სასუსნავი ბევრია!

აქ ხომ მუდამ ასეა,
აქ თაგვები სავსეა,
ფისუნია მცონარა,
როცა სახურავზეა.

კენწეროდან ჩხავის ყვავი

დასუნსულებს მელა ტყეში,
წამოვიდა წვიმის თქეში.
გაიცივა თავი მელამ,
აუვარდა საწყალს ხველა.

როგორც კუნაპეტი შავი,
კენწეროდან ყვავი ჩხავის.
–სამასი წლის უკან თავად,
მეც ვიყავი მახსოვს ავად.

ამბავია თუმცა ძველი,
ჩამეხრინწა მაშინ ყელი.
იმის მერე ასე ვჩხავი,–
სინანულით ამბობს ყვავი.

მხიარული კაცუნები

ულრანშია კაცუნები,
რაშიც თავად დარწმუნდები.
მინდვრებს ცეკვით უვლიან,
ყველა მხიარულია.

– როცა წვიმს და ავდარია
კაცუნები სად არიან? –
წვიმას ემალებიან,
სოკოებქვეშ დგებიან.

ლურჯი ნაკადულები

ხელის გაწვდენაზეა
მთაში ღრუბლის ქულები.
ხტუნვა-ხტუნვით მორბიან
ლურჯი ნაკადულები.

თითქოს ზარი წკრიალებს,
საოცარი ხმებია,
კენჭებს მოაგორებენ,
ქვეყნის ამბებს ყვებიან.

აბა, რა გამაჩერებს,
ნაკადულებს გავყვები.
გზა და გზა რომ ვისმინო
მხიარული ამბები.

ოცნებებს გავყვები

შრიალა ხეები მგონია აფრები,
დავხუჭავ თვალებს და ოცნებებს გავყვები.
მინდორში ბალახზე ვწევარ და მგონია,
ზღვა მარწევს და სადღაც ფარფატებს თოლია.

დათუნა და ფუტკრები

დათუნამ თქვა: ფუტკრებთან,
სულ ტყუილად მივედი.
არ სცოდნიათ სტუმრობა,
გამიცრუეს იმედი.

მამალი და მელია

კუდაგრძელი მელია
გზაზე შეხვდა მამალს.
სიხარულით შესძახა:
ვაჰ, ვის ვხედავ ამას!

გამარჯობა, მამალო,
გამარჯობა შენი!
ეგ, წითელი ბიბილო,
იცი, რარიგ გშვენის?

– შენც მომწონხარ ძალიან,
გხატავს გრძელი კუდი.
მეგობრობა ჩვენ შორის,
არ იქნება ცუდი.

– ეს რა აზრი მოგსვლია,
მამლაყინწავ, თავში.
სოროში თუ შეგიტყუე,
რაღას იზამ მაშინ?

უყვართ წვიმა სოკოებს

უყვართ წვიმა სოკოებს,–
მეუბნება ბებია.
– მაშ, წვიმაში ქოლგის ქვეშ,
რატომ იმალებიან?

მიყვარს ცირკი

ზეიმია მუდამ ცირკში...
ძალზე მიყვარს წასვლა ცირკში!
მანეჟთან რომ ახლოს ვიყო,
მუდამ ვჯდები პირველ რიგში.

იცით, როცა ხორთუმს აწევს
და ორ ფეხზე დგება სპილო,
ამისათვის ნაყინს ითხოვს,
განა ცოტას? – ორმოც კილოს!

ვალსის ჰანგებს აყოლილი,
სასაცილოდ ბუქნავს დათვი,
მასხარასთან წრეებს უვლის,
თანაც, დოლზე უკრავს თათით!

ტკაც! – გაისმის მათრახის ხმა,
საოცრებაც მაშინ ხდება,
რიგრიგობით ყველა ლომი, –
ალმოდებულ რგოლში ხტება!

პაწაწინა ცუგრიებიც,
თითქოს ყველამ შეკრა პირი,
თათის ნაცვლად, ბურთხატულას,
მარდად თამაშობენ ცხვირით!

იქ პატარა შიმპანზეა,
ეძახიან ცირკში – ლალას,
აკრობატობს და ბაგირზე
სწრაფად გადის ყირამალას!

მანეჟზეა დიდი ყუთი,
ყუთში ჩასვეს ლილიპუტი.
როცა გახსნეს, საოცრებავ!
შიგ აღმოჩნდა კატის კნუტი!

ქუხს მუსიკა! ელავს შუქი!
ხან კაშკაშა, ხანაც მუქი.
სალაროსთან მივედი:
–მინდა ერთი ბილეთი.

მოცინემი

ვიყავ თევზი პაწაწინა,
დავცურავდი წყალში.
მაღლა ფრენა ვინატრე და...
ჩიტად ვიქეც მაშინ.

გული მზისკენ მიმიწევდა
ვფრენდი მაღლა-მაღლა.
ლაჟვარდებში მონავარდემ,
არ ვიცოდი დაღლა.

ციდან წვიმად ჩამოვედი
და არავის სჯერა.
– დიდი მატყუარა ხარო! –
მეუბნება ყველა.

მშობლიური მხარე

ზამთრის ქარი იავნანას
ვის უმღერის ნეტავ? -
იმ პაწია ჩიტუნიას
მობუზულს რომ ხედავ.

ფანტელები ცვივა ციდან,
ყინვებია გარეთ.
მან კი მაინც არ დატოვა
მშობლიური მხარე.

მოცურავე ფისო

მეოცნებე ფისოს
დაათენდა თავზე.
ფისუნია, ფისო
ოცნებობდა ნავზე.

აფრიანი ნავით
იქროლებდა ზღვაში
და უამრავ თევზსაც
დაიჭერდა მაშინ.

კბილის ექიმთან

ბორმანქანა არ მაშინებს,
ვარ ნამდვილი გმირი.
კბილის ექიმს როცა ვხედავ,
არასოდეს ვტირი.

კაბინეტში მასთან შესვლას
სიხარულით ველი.
ექიმი ხომ არც ლომია
და არც რუხი მგელი.

აი, ჩემი ჯერიც დადგა,
ეს რა ხდება ნეტა? –
კვლავ მუხლები მიკანკალებს,
კვლავ მამშვიდებს დედა.

მელია

– რატომ ტირის მელია,
სველი რად აქვს თვალიო? –
მამლაყინწა გაექცა
დარჩა ხახამშრალიო

თუთიყუშის სიზმარი

გალიაში თუთიყუში
ასეთ სიზმარს ხედავს:
თითქოს, პალმის ტოტზე,
გვერდით უზის დედას.

ირგვლივ მართლაც ზღაპრული
ტროპიკული ტყეა,
ცაზე მზეა კაშკაშა
და ნათელი დღეა!

ქოქოსები პალმებზე
ქანაობენ ნელა,
ლომები და ვეფხვები
სალამს აძლევს ყველა!

... ტროპიკული ტყეები
სიზმარია ტკბილი...
ჩუმად, ჩუმად თუთიყუშს,
არ დაუფრთხოთ ძილი.

დამადების დღე

დაბადების დღეს ვზეიმობ,
მეგობრების მოსვლას ველი.
დღეს მე უფრო ჭკვიანი ვარ,
მომემატა ერთი წელი.

წუნიები

ნინიკო და თინიკო
ორივეა წუნია.
ნუ იტყვით და საუზმეს,
თურმე ერბოს სუნი აქვს.

ფაფა თუ არ შეჭამეთ, –
ეუბნება ბებია, –
მთელი ქვეყნის ჩიტები
ჩვენთან მოფრინდებიან!

მიირთმევენ ჭიკჭიკით
დაწუნებულ ფაფასო
და ქვეყანას მოსდებენ
წუნიების ამბავსო!

ელოდება პაწია

თურმე, დედა ჭიანჭველას
ტვირთი მოაქვს შორიდან.
შვილს კი, კითხვა არ ასვენებს:
ნეტავი რას მომიტანს?

რახანია ჭიშკართან დგას,
თვალებს გზისკენ აცეცებს,
ელოდება პაწია
ტკბილი ტორტის ნამცეცებს.

ოქრომბიჯი

მზის ნათელი იღვრება
ციდან ოქროს ფერებად.
თურმე, ოქროსფერია
ყველას რომ გვეფერება.

დაცურავენ ნარნარად
წყალში ოქროს თევზები.
დადის ყინჩად ყვინჩილა
ოქროსფერი დეზებით.

ფუღუროში მიმალა
ციყვმა ოქროს გირჩები.
დროზე თუ დავიძინე,–
ოქრობიჭი ვიქნები!

ჩემი ფინია

ყველას უყეფს თამამად
პაწაწინა ფინია.
როცა გვერდით მიგულვებს,
არაფრის ეშინია.

აი, ვიღაც უცნობმა
ეზოს შემოუარა.
მეკითხება თვალებით,
შეუყეფოს თუ არა?

დედას

– ჯადოსნურო ოქროს ჩიტო, –
ამოიდგი ენა!
ჩემს დედიკოს ეამება
ჭიკჭიკი და სტვენა.

ქარო, ქარო ნიავქარო,
როცა ქროლვით ტკბები,
გთხოვ, რომ აღარ აუწეწო
ჩემს დედიკოს თმები.

ის უსაზღვრო სიყვარული
რასაც ქვეყნად ვხედავ,
ეს ხომ შენი თვალებია,
საყვარელო დედა.

როგორ მინდა, როგორ მინდა,
რაც ვარდია ქვეყნად,
ყველა შენ რომ დაგიკრიფო
და მოგართვა ერთად!

მეზღვაური იხვი

იხვის ჭუკებს ბაბუა ჰყავთ
მეზღვაური ძველი,
თურმე ცურვით მოუვლია
ოკეანე მთელი.

სულაც არ უშინდებოდა
ქარიშხალს და ღელვას,
ისე სწრაფად დაცურავდა,
აოცებდა ყველას!

ლურჯ ტალღებში ლივლივებდა,
ზღვის ფერიაც ნახა,
მდელო მონატრებია და
შინ ბრუნდება ახლა.

რწევა-რწევით მიუყვება
ჩვენი სოფლის შუკებს,
და ამ ამბავს სიამაყით
მოუყვება ჭუკებს.

აი, უკვე გუბურაში
დაცურავენ ერთად.
– ვახ, ვახ, რა ბაბუა გვყავსო!–
ყვიტყვიტებენ ერთხმად.

რა აჩუქა ფიფქიას?

ვერ ისვენებს მარიამი,
სულ იმისი ფიქრი აქვს,–
საახალწლოდ თოვლის პაპამ,
რა აჩუქა ფიფქიას?

–თოვლის კაბა ქათქათა,
მოვერცხლილი ღილებით.
თოვლის თეთრი ვარდები
და ყინულის მძივები.

ფაფუკ თოვლში დარბიან

მგელი გაციებულა და
მკურნალობენ აბებითო,
ჩვენ კი ყინვა არ გვაშინებს
ხტუნვა-ხტუნვით გავთბებითო.

რუხი მგელი ბუნაგშია
და არა ჩანს მისი კვალი,
გაიხარეს ბაჭიებმა
ფაფუკ თოვლში კოტრიალით.

თეთრი ზღაპარი

მოფარფატე ფიფქები,
მოფრინავენ შორიდან.
თმაჭაღარა ზამთარი
საჩუქრებით მოვიდა.

გაახარა ხეები,
მოახურა ქურქები.
კუნძებს ჩამოურიგა
თოვლის თეთრი ქუდები.

გადაბურა ფიფქებით
ჩემი ფანჯრის დარაბა.
დახეთ, ბროლის მინები,
როგორ მოავარაყა.

დედამიწაც გაათბო,
გადაფინა საბანი
და ქვეყანა ქათქათებს,
როგორც თეთრი ზღაპარი!

უხარიათ

რაც ფისუნას უხარია,
ეს გიზგიზა ბუხარია.
ფისო თვლემს და კრუტუნებს,
ფერხული აქვთ წრუწუნებს.

დღეს ახალი წელია

მოფრინავენ ფანტელები,
ფანტელები მღერიან:-
თოვლის პაპა მობრძანდება,
დღეს ახალი წელია!

ლოლუები წკრიალებენ,
ლოლუებიც მღერიან:-
ყველას, ყველას მოგილოცავთ,
დღეს ახალი წელია!

პირველი თოვლი

ფისუნია პირველ თოვლს
გაოცებით უყურებს.
ყინვით მოუსარკიათ
ზედაპირი გუბურებს.

ფაფუკ თოვლში გაკვალულ
გზას კისკისით მივყვები.
გუბურები სადღაა? –
აყვიტყვიტდნენ იხვები.

ქსოვს კურდღელი წინდებს

თოვლი ფარავს მინდვრებს,
ქსოვს კურდღელი წინდებს.
ბჟუტავს სანთლის ალი,
ელულება თვალი.

ქოხშიც როგორ თბილა,
შვილებს სძინავთ ტკბილად...
ათოვს, ათოვს მინდვრებს,
ქსოვს კურდღელი წინდებს.

თოვს

თოვლი მოდის, თოვლი ბარდნის,
არ თავდება თოვა.
ავადა ვარ, ველი ექიმს,
ნეტა, როდის მოვა?

პინგვინებს კი არასოდეს
უცივდებათ ყელი.
თუნდაც ცხრაჯერ მოიარონ
ანტარქტიდა მთელი.

პინგვინები

დედას მწკრივად მიჰყვებიან
პინგვინები პაწია.
ზამთარსა და ზაფხულში
შავი ფრაკი აცვიათ.

ირგვლივ თვალუწვდენელი
გაყინული ზღვებია,
სიცივეს და ქარბუქსაც,
სიხარულით ხვდებიან!

ფანტელებმა გაგვახარა

ცა ფიფქებით გაბარდნილა,
ვესალმებით ზამთრის დილას.
საჩეჩელით თოვლის ბებო
ცაზე ჩეჩავს ღრუბლის ფთილას.

ფაფუკელა ღრუბლის ფთილას
სულს უბერავს თოვლის პაპა,
და ჯადოსნურ ვერცხლის კვერთხით
ქვეყნად ბროლს და ალმასს ფანტავს...

ფანტელებმა გაგვახარა,
ვესალმებით ზამთრის დილას.
საჩეჩელით თოვლის ბებო
ცაზე ჩეჩავს ღრუბლის ფთილას.

თოვლის ფიფქი

ჩურჩულებდა თოვლის ფიფქი:-
არა გვაქვსო ფრთები,
მაგრამ მაინც მოვფრინავთო
მე და ჩემი დები.

დათოვლილი ხეები

დათოვლილი ხეები,
გეგონება, ძმებია.
ფიფქებს, ზამთრის ხეები,
ალბათ სიზმრად ხვდებიან.

ფარფატელა ფიფქები
ერთმანეთის დებია.
ხეებს ძილს არ უფრთხობენ,
ტოტზე ჩუმად სხდებიან.

ცივი ქარი აზუზუნდა:-
საიდუმლოდ გეტყვით:
ეს ზამთარი მობრძანდება
ფარფატით და ცეკვით!

მიწვევა

თოვლის პაპამ საახალწლოდ
მიიწვია ყველა!
ამიტომაც კუდის ვარცხნით
გართულია მელა.

ციყვუნიაც ულამაზეს
ბეწვის კაბას ირჩევს.
საზეიმო ნაძვის ხეზე
ნახავს ოქროს გირჩებს.

მიდიან და გზას უნათებთ
ვერცხლისფერი შუქი.
ბაჭიასაც როგორ შვენის
ქათქათელა ქურქი.

მემოს თავგადასავალი

როცა ჩემი ბებია
ბავშვი იყო პატარა,
სოკოს პოვნის სურვილმა
ერთხელ ტყე-ტყე ატარა.

ტყეში ქალი შემოხვდა,
ქალი ენამზიანი,
ოქროსფერი კაბით და
ოქროსფერი თმიანი!

ასე უთხრა პატარას: -
იყოს შენი ნებაო,
ჩაიფიქრე სურვილი,
უმალ აგიხდებაო!

-სწრაფად გაზრდას ვისურვებ! –
უპასუხა პაწიამ.
ესა თქვა და იმ ქალმაც,
ოქროს კვერთხი ასწია!...

რაც იქ მოხდა იმაზე,
მრავალ ზღაპარს ყვებიან.
ბავშვის ნაცვლად დაბრუნდა,
თმაჭაღარა ბებია...
ახლა ბებო ოცნებობს,
ისევ გახდეს პატარა!
ქალის ნახვის სურვილმა,
ისევ ტყე-ტყე ატარა!
მაგრამ ვერსად იპოვა
ქალი ენამზიანი,
ოქროსფერი კაბით და
ოქროსფერი თმიანი...

კნუტები

სახლში ვინ მყავს? – კნუტები,
ფუმფულა აქვთ კუდები.
გაწკეპილი ულვაშით,
აპრეხილი ყურებით.

პაწაწინა თათებით,
ყელზე თეთრი ბაფთებით.
როცა შიათ, კნავიან,
რძე გვიყვარსო ძალიან!

სოხუმი... ზღვა და სანაპირო...

ზღვის ნაპირზე ოქროს ქვიშა
და ფერადი კენჭებია.
აფრიანი ნავებია
ჰორიზონტზე რომ ჩნდებიან.

მოლივლივე მედუზები
სიფრიფანა ქოლგებია.
ფარფატებენ თოლიები
და გემბანზე გროვდებიან.

ზღაპრულია სანაპირო
ოლეანდრით მოქარგული.
აქ ხომ მუდამ მზე იღიმის,
იფურჩქნება გაზაფხული.

ასე თავბრუს რომ დაგახვევს
მაგნოლიის სურნელია.
ამ ქალაქის ბინადარნი,
ყველა ერთი უბნელია.

აი, პორტი მშობლიური,
ეს, პატარა კატერია.
თუმცა, დიდხანს მასეირნა...
უკან გზა არ აბნევია.

შესავალი

გაზაფხული 3
სამშობლო 4
დაიძინე პაწაწინავ 4
რა ჯეთილი ხარო 5
გაიზარდა უცებ 6
ფერები 6
და იღიმის გაზაფხული 6
წვიმა მღერის 7
საოცარი სურნელი 7
აჯისჯისდა ნაჯადული 7
ჯონცერტზე 8
წყაროსთან 8
ყურცქვიტა 9
ვარდი და ნიავი 10
მარიამი და პეპელა 10
გაზაფხულო, რა მოგაქვს 11
გუბეები 11
მზე და წვიმა დაობენ 12
ასფეხა 12
იალაღებზე 13
მხიარული წვეთები 13
ჯურღლის ოჯახი 14
ფისო სოროს უთვალთვალებს 15
ყელსაბამი 15
რა ხდებაო? 16
გაზაფხულის ხმები 17
ფუტკრები 18
მეოცნებე ძროხა 19
მეგობრობას გთავაზობ 20
და იფრინე ლაღად 20
მთები 21
აფრიჯიდან ყოფილან 22
ნაჯადულები 23
მხიარული ჰანგები 23
ფისო და აკვარიუმი 24
პატარა ვარ 25

ფუტკარი 26
მინდორშია ფარა 27
ზღარბუნა და ბაჭია 28
გამოსულან ზღარბები 30
ლეკვი და პონი 31
იხვის სიმღერა 32
დღეობაზე 33
გულმავიწყი ბებია 34
საზამთრო 34
თაგვის ოჯახი 34
მამალმა თქვა 35
ღელე 36
ბარტყები 37
ჯენგურუ 37
ფრთახატულა ჰეჰელა 38
ენატრება შიმპანზეს 39
ცისარტყელა 39
სასაცილო სპილო 39
თიკანი 40
მე და ლოკოკინა 41
აბა, რას იფიქრებდა 42
ვინ მიღიმის 42
სალამური 42
სოკო წვიმაში 43
ბილიკი 43
ნაკადული 44
ჯეჯილი 44
მხიარული გვირილები 44
დედიკოსკენ გარბიან 45
კიტრი 45
საოცრებას ხედავს 45
აფრიკელი ნიანგი 46
კაქტუსი 47
უბილეთო კურდღელი 48
ღორმუცელა თაგუნა 49
რვაფეხები 49
კუ 50
მხიარული ჯამბაზი 50
ქარავანი 51

ფერია 52
დასეირნობს 53
მეოცნებე ლეჯვი 54
ჩემი ერავი 56
წიწილები 57
ციცინათელა 58
მზესუმზირა 59
მელას იავნანური 60
მელას სჯივრი 61
ციყვი 62
მარიამი 63
მელას სიზმარი 64
შემოდგომა ზეიმია 64
შემოდგომის ტყეები 64
ბაყაყუნა ყიყინა 65
თაგუნიას სახლი 65
ერუხი და ხორბლის მარცვალი 66
ყოლოები 67
საოცარი ხეები 67
რეო 68
შენი ქვეყნის სადარი 69
მიდის ვაცი საბალახოდ 69
ჩემი ეკიცი 70
სახალისო ნოტები 70
როცა ფეხზე დავდგებიო 71
პიანისტი 71
ჯადოსნური ეიბე 71
სიზმრები 72
ცაზე მთვარეს ელულება თვალი 73
ძილის დრო 73
ალიცლიცდა ტალღა 73
დამნაშავე ძროხა 74
მთვარის შუქი 74
მასპინძელი ზღარბი 75
ჩაიძირა მთვრე 76
ეურდღელმა თქვა 76
ესიზმრებათ 76
სამშობლოა სადღაც 77
განა ვინმე მოერევა 77

საკუჭნაოში 78
ჯენწეროდან ჩხავის ყვავი 79
მხიარული კაცუნები 80
ოცნებებს გავყვები 81
ლურჯი ნაკადულები 81
დათუნა და ფუტკრები 82
უყვართ წვიმა სოკოებს 83
მამალი და მელია 83
მიყვარს ცირკი 84
მშობლიური მხარე 86
მეოცნებე 86
მეოცნებე ფისო 87
კბილის ექიმთან 88
მელია 88
თუთიყუშის სიზმარი 89
დაბადების დღე 89
წუნიები 89
ელოდება ჰაწია 90
ორქობიჭი 90
დედას 91
ჩემი ფინია 91
მეზღვაური იხვი 92
რა აჩუქა ფიფქიას? 93
ფაფუკ თოვლში დარბიან 94
თეთრი ზღაპარი 95
დღეს ახალი წელია 95
უხარიათ 95
პირველი თოვლი 96
ქსოვს ჟურდღელი წინდებს 97
ფანტელებმა გაგვახარა 98
თოვს 98
პინგვინები 98
დათოვლილი ხეები 99
თოვლის ფიფქი 99
მიწვევა 99
ბებოს თავგადასავალი 100
კნუტები 102
სოხუმი... ზღვა და სანაპირო... 103

გამომცემლობა „?“ 2023

თბილისი. ქუჩა. № ?
ტელეფონი

E-mail: ?.com

აზა ბასლანიძე დაიბადა ქ. სოხუმში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. არის რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორი.

ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და ახალგაზრდა თაობის აღზრდისა და განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისათვის დაჯილდოებულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის საპატიო სიგელით.

ქართულ საყმაწვილო ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მინიჭებული აქვს მაყვალა მრევლიშვილის, შიო მღვიმელისა და გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიები.

პოეტის საყმაწვილო ლექსების კრებული „ლეკვი და პონი", ისე როგორც ადრე გამოცემული კრებულები, მნიშვნელოვანი სიტყვაა ქართულ საყმაწვილო პოეზიაში. კრებულში შესული ლექსები გამოირჩევა სიტყვის სინატიფით, თემის მრავალფეროვნებით და აზრის გადმოცემის მხატვრული ოსტატობით.

აზა ბასლანიძის პოეზია ისევე ლაღი, სუფთა და ხალასია, როგორც ბავშვი და თვით ბავშვობა.